



საგანმანათლებლო პროგრამების
კატალოგი



201
7

რატომ NATALI ACADEMY?

NATALI ACADEMY არის **NATALI GROUP**-ის წევრი, რომელიც სილამაზის და ესთეტიკის სფეროში წარმატებული მოღვაწეობის ოც წელზე მეტს ითვლის. „NATALI“ სილამაზის სამყაროში ძლიერი, ქართული ბრენდია.

ამ სახელით პირველი სილამაზის სალონი თბილისში 1995 წელს გამოჩნდა. დღეს **NATALI GROUP** მომხმარებელს სთავაზობს სილამაზისა და ჯანმრთელობის ცენტრს, რომელიც აერთიანებს - საპარიკმახერო, ფრჩხილებისა და კოსმეტოლოგიურ სერვისებს, ექსკლუზიურ სპას Germaine de Capuccini-სგან, სოლარიუმ კლუბს, სადისტრიბუციო კომპანიას, რომელიც საქართველოში წამყვან ევროპულ ბრენდებს წარმოადგენს, ესთეტიკურ ცენტრს "ნატალი ანტიეიჯ კლინიკასა" და

საზოგადოებრივ კოლეჯს NATALI ACADEMY.

კომპანიის დამფუძნებელი და **NATALI ACADEMY**-ს დირექტორია ქ-ნი ნატალია თოლორაია.

აკადემია გთავაზობთ სილამაზის სფეროს მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების შესწავლას უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოყენებით. აქ პროფესიონალები ასწავლიან.

NATALI ACADEMY-ს დიპლომი და სერტიფიკატი თქვენი პროფესიული კარიერის სავიზიტო ბარათია.



სილამაზის მომსახურება მოითხოვს ფანტაზიისა და ოსტატობის, შემოქმედებითი და პროფესიული უნარების ერთიანობას, მუდმივად განახლებად სასწავლო და სამუშაო გარემოს, რომელიც უნდა პასუხობდეს თანამედროვე ტენდენციებსა და მოთხოვნებს, ჩვენ ის გუნდი ვართ, რომელიც სილამაზის მომსახურების უნივერსალურ სპეციალისტებს ამზადებს. ჩვენ კარგად ვერკვევით სილამაზის სფეროს თანამედროვე ტენდენციებში; ვწერგავთ ამ სფეროს უახლეს ტრენდებს საქართველოში; ჩვენ შეგვწევს უნარი, მომავლადოთ მომავლის სტილისტები.

ჩვენი საქმიანობა ეფუძნება პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობას. აკადემიის მთავარი ორიენტირი და ღირებულებაა - ხარისხიანი განათლება.

NATALI ACADEMY-ში სწავლის დიდი ნაწილი პრაქტიკას ეთმობა, რომლის დროსაც სტუდენტი რეალურ კლიენტებთან მუშაობს.

ჩვენ ვეხმარებით საკუთარ სტუდენტებს დასაქმდნენ წარმატებულ სალონებში და მაღალანაზღაურებადი სტილისტები გახდნენ.

NATALI ACADEMY-ში სწავლა თქვენი წარმატების რეალური შანსია.

ნატალია თოლორაია

აკადემია დაარსდა მისიით *მომზადოს საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური, კომპეტენტური და კონკურენტუნარიანი სპეციალიტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის მომსახურების/სერვისის შეთავაზებას.*

აკადემია დაარსდა 2008 წელს, “Image Academy N”-ის სახელით, რომელიც წარმატებით ახორციელებდა სასერტიფიკატო კურსებს სალონური მომსახურების სფეროში. დაარსებიდან დღემდე აკადემიის კურსდამთავრებულები, სალონური მომსახურების სფეროში ყველაზე მოთხოვნი კადრია. ისინი ადვილად საქმდებიან პრესტიჟულ სალონებში და იქმნიან წარმატებულ პროფესიულ კარიერას. ამან განაპირობა, აკადემიის დამფუძნებლების გადაწყვეტილება, განეხორციელებინათ ფორმალური განათლება. 2014 წელს, აკადემიამ სახელი შეიცვალა და ეწოდა **NATALI ACADEMY**. აკადემიის ადმინისტრაციამ, NATALI-ის წამყვან სპეციალისტებთან და უცხოელ პარტნიორებთან ერთად, სახელმწიფო სტანდარტის საფუძველზე, შეიმუშავა სტილისტის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განსახიერებლად მოიწვია საუკეთესო სპეციალისტები.

2015 წელს, **NATALI ACADEMY-მ** წარმატებით გაიარა ავტორიზაცია და მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (გადაწყვეტილება N3 04.02.2015).

აკადემია მჭიდროდ თანამშრომლობს მსოფლიოს ცნობილ ბრენდებთან როგორებიცაა GERMAINE DE CAPUCCINI, FRAMESI, CLARISSA, MALLETTI, SUNTACH, DEPILEVE, TECNOSOLE, THAT- SO, SO, CAP, GOLDSIN, silverfox, saunaitalia, selenia და აკადემიებთან

FRAMESI ACADEMY



TONY & GUY CADEMY



Natali Academy

www.nataliacademy.ge

info@nataliacademy.ge

2014 წლის დეკემბერში **NATALI ACADEMY** გაწევრიანდა საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციაში და აქტიურად თანამშრომლობს მის წევრ კოლეჯებთან. საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია აწევრიანებს ქვეყნის წარმატებულ კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო სასწავლებლებს.


აკადემია ჩართულია ბრენდირების პროცესში, რომელიც ყოველწლიურად ხორციელდება და გულისხმობს, ასოციაციის მიერ დადგენილი, საქმიანობის ხარისხის შეფასების კრიტერიუმების დაკმაყოფილებას, რომელიც აღემატება ავტორიზაციის სახელმწიფო სტანდარტებს.



2015 წელს აკადემიის საქმიანობა, ასოციაციის ბრენდირების კომისიის მიერ სამი ვარსკვლავით შეფასდა. 2016 წელს **NATALI ACADEMY ბრენდირების უმაღლესი შეფასების, 5 ვარსკვლავის მფლობელი გახდა.**

NATALI ACADEMY აქტიურადაა ჩართული საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებსა და პროფესიულ ფესტივალებში, სადაც სტუდენტები წარმატებით ავლენენ აკადემიაში შეძენილ საკუთარ პროფესიულ ცოდნასა და უნარებს.

2017 წელს, **NATALI ACADEMY**, საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის გამგეობაში იქნა არჩეული.



1/1/2017

NATALI ACADEMY World Skills Georgia-ს სპორსლორი



Worldskills 60-წლიანი ისტორია
აქვს. პროექტი - WorldSkills Georgia -
ეროვნული შეჯიბრება პროფესიულ უნარებში
- 2012 წელს დაიწყო და საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა
და განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის ერთობლივი პროექტია,
რომლის მიზანია საქართველოში
პროფესიული განათლების პოპულარიზაცია,
ხარისხის გაუმჯობესება და საერთაშორისო
სტანდარტებთან დაახლოება. 2012 წლიდან
WorldSkills Georgia, განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული ცენტრის სახელით
WorldSkills International-ის წევრია.



NATALI ACADEMY 2015 წელს ჩაერთო
WorldSkills Georgia პროექტში და მისი
ოფიციალური სპონსორი გახდა.



2017 წელს, საპარიკმაზერო საქმეში
WorldSkills Georgia-ს რიგით მესამე
ეროვნულ შეჯიბრებას თვად **NATALI**
ACADEMY-მ უმასპინძლა.

1/1/2017



შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო
აკადემიის სამმა კურსდამთავრებულმა:

- ქრისტინა პარუნოვა
- კარინა ჯუმუტია
- მარიამ პირველი



აკადემიის კურსდამთავრებულებმა
საუკეთესო შემოქმედებითი უნარი და
პროფესიონალიზმი გამოავლინეს და
საპრიზო ადგილებიც დაიკავეს.

ქრისტინა პარუნოვა - I ადგილი
მარიამ პირველი - II ადგილი.

პირველ ადგილის მფლობელი,
ქრისტინა პარუნოვა, 2017 წლის
შემოდგოაზე, გაერთიანებულ
ემირატებში, აბუდაბიში გაემგზავრება
მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის
მისაღებად.



2017 წელს **NATALI ACADEMY-ს**
დირექტორი და დამფუძნებელი ქ-ნი
ნატალია თოლორაია განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრომ პროექტის
მხარდაჭერისა და საპარიკმახერო
საქმის პროფესიულ უნარებში
ეროვნული შეჯიბრის
ორგანიზებისთვის საპატიო სიგელით
დააჯილდოვა.



სასწავლო პროცესი და საგანმანათლებლო პროგრამები

სილამაზის სფეროს მომსახურება სწრაფად განვითარებადი დარგია და მუდმივად განახლებად სასწავლო და სამუშაო გარემოს მოითხოვს, რომელიც უნდა პასუხობდეს თანამედროვე ტენდენციებსა და მოთხოვნებს. ყოველივე ამას აკადემიისთვის უზრუნველყოფს ეროვნული ბრენდი „NATALI GROUP“ მისი სალონების ქსელით, პროფესიონალი კადრითა და უცხოელი პარტნიორებით, რომლებთან ერთადაც წლების განმავლობაში წარმატებით ახორციელებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებსა თუ პროექტებს.



აკადემიაში შექმნილია ყველა პირობა პროფესიული კადრის მომზადებისა და ხარისხიანი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფისათვის. სპეციალურად აღჭურვილი სტუდიის მრავალფეროვნება რეალურად იძლევა სემინარების და მასტერკლასების ჩატარების საშუალებას, უცხოელი სტუმრების და „ნატალის“ საუკეთესო სტილისტების მოწვევით.

აკადემია ამზადებს მაღალი გემოვნების კარგად მომზადებულ, განვითარებული შემოქმედებითი უნარის პროფესიონალებს.



სილამაზის მომსახურების სწავლების გარდა **NATALI ACADEMY-ს** პროფესიული პროგრამები გთავაზობთ ინგლისური ენის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, კომუნიკაციის ხელოვნების შესწავლას.

 **framesi**
PROFESSIONAL HAIR FASHION

Natali Academy

www.nataliacademy.ge

info@nataliacademy.ge

1/1/2017



გარდა იმისა, რომ აკადემია
საკუთარ სტუდენტებს
სთავაზობს საუკეთესო
პროგრამასა და სწავლებას,
NATALI ACADEMY-ის
სტუდენტებს ის
უპირატესობა აქვთ, რომ
აკადემიაში სწავლის
პერიოდში, პროფესიის
დაუფლების პარალელურად,
შეუძლიათ დაესწრონ
მსოფლიოში ცნობილი
ბრენდების წამყვანი
სპეციალისტების მასტერ-
კლასებსა და სემინარებს,
რომლებსაც **NATALI**
ACADEMY NATALI GROUP-
თან ერთობლივად
სისტემატურად აწყობს.
აკადემიის სტუდენტები
ყოველგვარი საფასურის
გარეშე ესწრებიან მასტერ-
კლასებსა და სემინარებს.

TRENDS



სემინარი-მასტერკლასი Framesi Georgia - ს ახალი
პროდუქტის, FRAMCOLOR BOLD - ის შესახებ,
რომელსაც უძღვებოდა ფრამესის არტ დირექტორი,
იტალიელი ტოპ სტილისტი
Gigi Guerretta

1/1/2017



<http://www.framesi.it/it/>

Natali Academy
www.nataliacademy.ge
info@nataliacademy.ge

1/1/2017



GERMANE ^{DE} CAPUCCINI-ს წარმომადგენლის სემინარი-მასტერკლასი ბორჯომში
RIXOS HOTEL BORJOMI



დიეგო ავოლიოს მასტერ-კლასი ვიზაჟსა და მეიქაჟში.



Natali Academy
www.nataliacademy.ge
info@nataliacademy.ge



ვიზიტი მოხუცებულთა სახლში



გარდა იმისა, რომ **NATALI ACADEMY-ის** სტუდენტები, სწავლის პერიოდში ფაქტობრივად უკვე მუშაობენ აკადემიის სტუდია-სალონში, ასევე სისტემატურად ეწყობა საქველმოქმედო აქციები მოხუცებულთა, ბავშვთა თავშესაფარსა და სახლებში.

ეს აქციები, ჩვენი სტუდენტებისთვის არა მარტო საუკეთესო პრაქტიკაა, არამედ აყალიბებს და ავითარებს მათში მოქალაქეობრივ და სოციალურ პასუხისმგებლობას.



ვიზიტი ბავშვთა სახლში "მომავლის გზა"



1/1/2017



NATALI ACADEMY-ის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები სატელევიზიო გადაცემებში და შოუებში, რომლის ოფიციალური პარტნიორია NATALI GROUP-ი. ეს მათთვის ცოდნის განმტკიცებისა და პროფესიული გამოცდილების შეძენის საუკეთესო საშუალებაა.



1/1/2017




Mercedes-Benz
FashionWeek
TBILISI



დეკავენ ვარსკვლავები

1/1/2017



PRIME SHOW

1/1/2017

სტუდენტთა შთაბეჭდილება NATALI ACADEMY-ზე



ასე ფიქრობენ NATALI ACADEMY-ს
სტუდენტები:

შესანიშნავი სასწავლო
პროგრამა, საინტერესო
ლექციები,
ორგანიზებული
ადმინისტრაცია.
მასწავლებლები ყოველთვის ნათლად
და გასაგებად გვაწვდიან
სასწავლო მასალას.

თითოეული
მასწავლებელი ეხმარება
სტუდენტს ნებისმიერ
საკითხთან მიმართებაში,
ყოველთვის მზად არიან
გვერდში დაგვიდგნენ. ქ-მა
ნატალიამ, სწორი არჩევანი
გააკეთა მასწავლებლებზე!

როგორც ამბობენ, ყოველი მასწავლებელი
რადცას ცვლის მოსწავლეშიო, სწორედ ასეა.
ქ-მა ელენა ვარდანიანმა ბევრი რამ
შეცვალა ჩვენში. ძალიან მინდა, რომ მისი
მსგავსი ვიყო.

ძალიან გამიმართლა, რომ ვარ ელენა
მასწავლებელის სტუდენტი, ქალბატონის,
რომელიც მაქსიმალურად იხარჯება
თითოეული ჩვენგანის
წარმატებისთვის!

Natali Academy
www.nataliacademy.ge
info@nataliacademy.ge

ქ-ნი თინათინ კახიაშვილი პროფესიონალი და თავისი საქმის ჩინებული მცოდნეა. სასწავლო კურსი გაჯერებული იყო ისეთი დავალებებით, რაც კავშირში იყო ჩვენს პროფესიასთან.

კმაყოფილი ვარ სასწავლო კურსით, ეს აუცილებლად გამომადგება უხოელ კლიენტებთან ურთიერთობისას.



სასწავლო კურსი ძალიან საინტერესო და საჭირო იყო. ეფექტური კომუნიკაციისას იმდენი დეტალია გასათვალისწინებელი, არც მოველოდი.

ელენე თურმანიძის ლექციებიდან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე, ყველაფერი ეს გამომადგება არა მარტო პროფესიაში არამედ ცხოვრებაშიც.

ქ-ნი ქეთი ყაზაიშვილს გავაიგივებდი სოცოცხლესთან. ის არის სოცოცხლით სავსე, პოზიტიური ადამიანი, რომელიც საშუალებას არ გაძლევს მოდუნდე.

სასწავლო პროცესი ძალიან საინტერესო და მომხიბლავი იყო. ხატვასთან ერთად ჩვენ ვისწავლეთ ცხოვრების ლამაზ ფერებში ხედვაც.



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

სტილისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	
პროგრამის მოცულობა	45 კრედიტს (1125 საათი)
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	- თეორიის კომპონენტი - 21 კრედიტი (525 საათი) - პრაქტიკის კომპონენტი - 24 კრედიტი (600 საათი)
პროგრამის მიზანი	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური (9 კლასის ატესტატი) ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც წარმატებით ფლობენ სხვადასხვა ტექნოლოგიებს (თმის შეჭრა, შეღებვა, გასწორება, დახვევა) პროფესიული მანქანებისა და აპარატების გამოყენებით.
სწავლის შედეგები	იგის:
ცოდნა და გაცნობიერება	- თმის ტიპები, მისი ფაქტურისა და სტრუქტურის განსაზღვრის მეთოდები; - კანის ფიზიოლოგიის, დაავადებების და ალერგიის საფუძვლები; - თმის ძირითადი დაავადებები; - ფერთმცოდნეობის საფუძვლები; - სპეციალური ხატვის საფუძვლები, თავისა და სახის ფორმების მიხედვით კომპოზიციის აგების წესები; - პრეპარატების შერჩევის წესები და პროპორციები; - ინსტრუმენტების, თეთრეულის, პრეპარატების, ხსნარების დანიშნულება და გამოყენების წესები; - თმის ვარცხნილობის კლასიკური (სალონური) და თანამედროვე (მოდური) სახეები; - თმის შეჭრის, დახვევის, შეღებვის, გასწორების, შრობის ტექნოლოგიები; - შესრულებული სამუშაოს ხარისხის კრიტერიუმები; - საპარიკმახერო ინსტრუმენტებისა და აქსესუარების დანიშნულება, გამოყენება და უსაფრთხო ექსპლუატაციის წესები; - უსაფრთხო მუშაობისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, მათი დაცვის წესები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია: - სამუშაო ადგილის ორგანიზება;

დასკვნის უნარი

კომუნიკაციის უნარი

- თმის ტესტირება (შემოწმება), დაბანა, მასაჟი, თმის პროფილაქტიკური მოვლა;
 - კლიენტის გარეგნობის (თავისა და სახის ფორმების) მიხედვით თანამედროვე მოდური ტენდენციების გათვალისწინებით ვარცხნილობის ტექნოლოგიების შერჩევა, თმის კლასიკური და მოდური შეჭრა, დაწყობა, გასწორება;
 - შეჭრის, ვარცხნილობის ფორმისა და კომპოზიციის შერჩევა-შეთვაზება;
 - საღებავების შერჩევა (ფერთა სპექტრის მიხედვით), რეკომენდაციითა და ალერგიაზე ტესტირებით;
 - თმის შეღებვის, მელირებისა და დახვევის სამუშაოთა შესრულება;
 - პრეპარატების შერჩევა, პროპორციებისა და ხარჯვის გაანგარიშება;
 - სამუშაოს მიმდინარე და შემაჯამებელი კონტროლი, შეფასება, კორექტირება;
 - თმის პროფილაქტიკური მოვლის რეკომენდაციების მიცემა;
 - წვერ-ულვაშის შესწორება;
 - შინიონისა და პარიკის მოვლა;
 - პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
 - საპარიკმახერო ინსტრუმენტების გამოყენება უსაფრთხო ექსპლუატაციის წესების დაცვით;
 - კლიენტთან და კოლეგებთან ურთიერთობისას ეთიკის წესების დაცვა;
- ფლობს:**
- კლიენტთან ურთიერთობის ფსიქოლოგიის ძირითად პრინციპებს;
 - სავალდებულო სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებსა და წესებს;

შეუძლია:

- თმის შეჭრის, შეღებვისა და ვარცხნილობების სამუშაოების შესრულებისას წარმოშობილი პრობლემების განხილვა, გაანალიზება და მათ გადასაჭრელად სათანადო მიდგომების, მეთოდებისა და ხერხების შერჩევა;
- შესრულებული სამუშაოს შეფასება ხარისხის კრიტერიუმების შესაბამისად და კორექტირება.

შეუძლია:

- ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

სწავლის უნარი

ღირებულებები

მისანიჭებელი
კვალიფიკაცია

დასაქმების სფერო

- პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოსაძიებლად საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება და მოძიებული ინფორმაციის გააზრება;
- კლიენტთან კომუნიკაცია უცხოურ ენაზე.

წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში შეუძლია:

- პროფესიული ცოდნის გაღრმავება თანამედროვე მოდის
- ტენდენციების კვალდაკვალ;
- ახალი ტექნოლოგიების და ტექნიკის ათვისება;
- მაღალი კვალიფიკაციის ცნობილი სპეციალისტების
- გამოცდილების გაზიარება;
- საკუთარი საქმიანობისადმი შემოქმედებითად მიდგომა და პასუხისმგებლობის აღება.
- განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად;
- აცნობიერებს საკუთარი პროფესიისა და საქმიანობის მნიშვნელობას და პასუხისმგებლობით ეკიდება მას;
- აქვს კლიენტთან ურთიერთობის მაღალი კულტურა;
- იცავს უსაფრთხო მუშაობის ნორმებსა და პროფესიული ეთიკის წესებს;
- პოპულარიზაციას უწევს საკუთარ პროფესიას.

სტილისტ-პარიკმახერის /ქალი, მამაკაცი/ მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია .

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი.

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სილამაზის სალონებსა და გამაჯანსაღებელ ცენტრებში, ტელე, იმიჯ და სარეკლამო სტუდიებში, სამოდელო სააგენტოებში, ტელევიზიასა და თეატრებში.

სტილისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის მოცულობა

60 კრედიტს (1500 საათი).

- თეორიის კომპონენტი - 18 კრედიტი (450 საათი)
 - პრაქტიკის კომპონენტი - 42 კრედიტი (1050 საათი)
- სტილისტ-პარიკმახერის /ქალი, მამაკაცი/ მესამე საფეხურის კვალიფიკაცია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამის მიზანი

მომზადდოს ფართო პროფილის მაღალი კვალიფიკაციის სტილისტები, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან სფეროში არსებული თანამედროვე ტენდენციებისა და მოთხოვნების შესაბამისი კლასიკური, სადამოსა და სადღესასწაულო ვარცხნილობების ტექნოლოგიების ცოდნითა და შესრულებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევებით, ასევე შეძლებენ სამეწარმეო საქმიანობის/ საპარიკმახერო საქმის მართვასა და ხელმძღვანელობას.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

იცის:

- სამუშაო ადგილის მოწყობისა და შრომის ორგანიზაციის პრინციპები;
- თანამედროვე მოდის მიმართულებები და ტენდენციები საპარიკმახერო ხელოვნებაში;
- სპეციალური ხატვისა და კომპოზიციის საფუძვლები და აგების წესები;
- შეღებვისა და მელირების თანამედროვე მეთოდები;
- კლასიკური, სადამოს, სადღესასწაულო ვარცხნილობების ტექნოლოგიები, მათი გაფორმების მეთოდები და ხერხები;
- თმის დაგრძელების ტექნოლოგია და აპარატით უსაფრთხო მუშაობის წესები;
- სანიტარიულ - ჰიგიენური ნორმები, ნორმატივები და მათი დაცვის წესები;
- კლიენტის მომსახურების წესები, ფსიქოლოგიური ასპექტები;
- პროფესიული ეთიკის საფუძვლები და წესები;
- აქვს სამეწარმეო საქმიანობის ზოგადი მენეჯმენტისა და მარკეტინგის ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია:

- სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები;
- წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად შეიმუშაოს სტრატეგია და შეაფასოს მიღებული

დასკვნის უნარი

- შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით;
- ადამიანის (კლიენტის) თავის, სახისა და თმის განსაკუთრებული თავისებურებების გათვალისწინებით შეჭრისა და ვარცხნილობის მოდელირება, შესაბამისი ნახატის მიხედვით;
 - თმის ღებვისა და მელირების სამუშაოთა შესრულება ინსტრუქციულ-ტექნოლოგიური რუკების მიხედვით და კრეატიული მიდგომით, სხვადასხვა საღებავების კომბინაციების გამოყენებით;
 - საღამოს, სადღესასწაულო და ფანტაზიური ვარცხნილობების შესრულება და გაფორმება სადღესასწაულო ჩაცმულობისა და იმიჯის შესაბამისად;
 - სამუშაოების შესრულება შესაბამისი ტექნოლოგიური პროცედურების ჩატარებით და აპარატზე მუშაობის უსაფრთხოების წესების დაცვით;
 - დამწყები და დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტების ხელმძღვანელობა, რჩევის მიცემა, საპარიკმახერო ხელოვნების ყველა მიმართულებით;
 - საპარიკმახერო საქმის მართვაში ხელმძღვანელის როლის შესრულება.

შეუძლია:

- საპარიკმახერო მომსახურების საქმიანობის ორგანიზება და მასთან დაკავშირებული სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად სათანადო ალტერნატიული გზების გამოთხზვა, განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
- მენეჯმენტის ორგანიზაციული და ეკონომიკური ასპექტების გაანალიზება საჭიროების შემთხვევაში მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, სათანადო მიდგომების შემუშავება, მიღებული შედეგების გაანალიზება.

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია:

- გამოიყენოს თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- მონაწილეობა მიიღოს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ღონისძიებებში ზეპირი და წერილობითი ფორმით;
- მუშაობა როგორც მცირე, ისე მრავალრიცხოვან და არაერთგვაროვან გუნდში;
- კომუნიკაცია უცხოურ ენაზე.
- აქვს უნარი, მოიძიოს და გაეცნოს სიახლეებსა და მიღწევებს საპარიკმახერო ხელოვნებაში პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;
- შეუძლია მოძიებული ინფორმაციის გააზრება და გაანალიზება პრაქტიკაში გამოსაყენებლად;
- აქვს სწრაფვა და უნარი, გაიზიაროს და აითვისოს საკუთარი პროფესიული საქმიანობის სფეროში მოღვაწე

სწავლის უნარი

ღირებულებები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

დასაქმების სფერო

მაღალი კვალიფიკაციისა და ოსტატობის მქონე სპეციალისტების მიღწევები და გამოცდილება;

- რეგულარულად ადევნებს თვალს თანამედროვე მოდურ ტენდენციებს და შეუძლია შემოქმედებითად გამოიყენოს პროფესიულ საქმიანობაში.

- პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად;
- მუდმივად ზრუნავს პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაზე;
- იცავს შრომის უსაფრთხოების, კლიენტთან ურთიერთობისა და პროფესიული ეთიკის ნორმებს, ნებისმიერ ვითარებაში მოქმედებს მათ შესაბამისად.

სტილისტის /ქალი, მამაკაცი/ მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი.

კურსდამთავრებულს შეუძლია იყოს თვითდასაქმებული, ასევე დასაქმდეს სილამაზის სალონებსა და გამაჯანსაღებელ ცენტრებში, ტელე, იმიჯ და სარეკლამო სტუდიებში, სამოდლო სააგენტოებში, ტელევიზიასა და თეატრებში.

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი



პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება აკადემიაში მოქმედი შეფასების წესით, რომლის მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგები, როგორც თითოეული სასწავლო კურსის ისე მთლიანად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დონეზე. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა უშვებს შემდეგი სახის შეფასებებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროფესიული სტუდენტის ცოდნა და უნარები ფასდება როგორც სწავლის პროცესში ასევე სასწავლო კურსებისა და პრაქტიკის კომპონენტების დასრულებისას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია და გულისხმობს მინიმუმ ერთ შუალედურ შეფასებას და დასკვნით გამოცდას.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.



პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების პირობაა საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების სრულად შესრულება.

საწარმოო პრაქტიკის დასკვნითი გამოცდა მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტაში, რის გამო დასკვნითი გამოცდა წარმოებს კომისიასთან, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება აკადემიის დირექტორის ბრძანებით.

პრაქტიკის დასკვნით გამოცდაზე წარმოდგენილ უნდა იქნას:

1. საწარმოო პრაქტიკის დღიური, რომელიც აღწერს პრაქტიკის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოს;
2. პროფესიული სტუდენტის - შესრულებული სამუშაოს ფოტომასალა, ვარცხნილობების ესკიზები და ა.შ);
3. პრაქტიკის ხელმძღვანელის/ინსტრუქტორის მიერ პროფესიული სტუდენტის დახასიათება/შეფასება.

პრაქტიკის დასკვნით გამოცდის დავალება გულისხმობს ქალისა და მამაკაცის ვარცხნილობების შესრულებას, რომელიც მოიცავს შემდეგი სამუშაოს შესრულებას:

- თმის სტრუქტურისა და ფაქტურის განსაზღვრა; ვარცხნილობის შერჩევა, შეჭრა, გაშრობა-დავარცხნა.
- პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს/შერჩეული კომპოზიციის, მეთოდის არგუმენტირება.

1/1/2017



საწარმოო პრაქტიკის დასკვნითი გამოცდა კომისიასთან

მოკლევადიანი/სასერტიფიკატო პროგრამები

კოლორისტიკა

სწავლის ხანგრძლივობა

6 კვირა

სწავლი ღირებულება

1200 ლარი



თემატიკა

- კოლორისტიკის ძირითადი პრინციპები
- ფერის მრავალფეროვნება
- ფერთა ჯგუფები და დახასიათება
- ფერი, ფერთა სახელები, ფერთა გამა
- ფერის თეორია
- გრადაცია
- ფერების სისტემატიზაცია ოსვალდის „ვარსკვლავის“ მიხედვით
- თმა, თმის სტრუქტურა და აგებულება
- თმის შემადგენლობა, კუტიკულა, მედულა, კორტექსი, პროტეინები, წყალი, პიგმენტები, მინერალები, ლიპიდები, ვიტამინები, კარბოჰიდრატები
- თმის ბუნებრივი პიგმენტი
- თმის საღებავები, პერმანენტული და ნახევრად პერმანენტული შეღებვა
- შეღებვის მარტივი მეთოდები
- შეღებვის ტექნოლოგიები და გარანტირებული შედეგები
- თმის გაღიაება
- თმის ტონირება
- მელირება

სწავლების ბოლოს ტარდება გამოცდა.

გამოცდის წარმატებისთ დასრულების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი.



ქალისა და მამაკაცის სტილისტი

სწავლის ხანგრძლივობა

4 თვე

სწავლება მიმდინარეობს ყოველ დღე, ორშაბათიდან - პარასკევის ჩათვლით, ხოლო შაბათი ეთმობა პრაქტიკულ მუშაობას აკადემიის სასწავლო სტუდია-სალონში.

სწავლის ღირებულება

ქალის სტილისტი -
2800 ლარი

ქალისა და მამაკაცის
სტილისტი
3100 ლარი

თემატიკასაპარიკმახერო საქმე

- ინსტრუმენტების მოხმარების წესი
- თავის ფორმის ზონების დახასიათება

- შეჭრის მთავარი პრინციპები
- საბაზო შეჭრა
- კარე - დავარცხნა ფენით, სტაილინგი
- იტალიანკა - დავარცხნა ფენით, სტაილინგი
- ბობ კარე - დავარცხნა ფენით, სტაილინგი
- სწორი ხაზით შეჭრა - დავარცხნა ფენით, სტაილინგი
- მოკლე შეჭრა - დავარცხნა ფენით, სტაილინგი
- თმის გასწორება
- თმის ბუნებრივად დავარცხნა
- სახის ფორმის შესწავლა
- ვარცხნილობის ინდივიდუალური შერჩევა
- ქიმიური დახვევა
- საღამოს ვარცხნილობა (საბაზო)

კოლორისტიკა

- ფრამკოლორ გლამური
- ფერთა სამყარო (კოლორისტიკის საფუძვლები)
- შეღებვა სიგრძეზე
- ძირების შეღებვა
- ჭაღარა თმის შეღებვა
- გაღიავენა
- მელირება

სწავლების ბოლოს ტარდება გამოცდა - ვარცხნილობის შესრულება მოდელზე. გამოცდის წარმატებით დასრულების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი.

მანიკურისა და პედიკურის სპეციალისტი

სწავლის
ხანგრძლივობა

1 თვე

თეორიული
მეცადინეობა
ტარდება კვირაში
სამჯერ, ხოლო
პრაქტიკას ეთმობა
კვირის ექვსივე დღე.

შესაძლებელია
პრაქტიკა დაიგეგმოს
მსმენელთან
შეთანხმებით,
მისთვის სასურველი
დღეების მიხედვით -
10:00 - 19:00

სწავლის
ღირებულება

1050 ლარი

თემატიკა

- სტერილიზაცია და დეზინფექცია
- ფრჩხილის ანატომია
- ხელისა და ფეხის ტერფის მასაჟი
- ფრჩხილის დამუშავება (ქლიბვა, გაპრიალება)
- კლასიკური მანიკური
- პედიკური
- შილაკი
- პროფილაქტიკური და სამკურნალო პროცედურები



პრაქტიკა ტარდება მოდელებზე.

*სწავლების ბოლოს ტარდება გამოცდა.
გამოცდის წარმატებისთ დასრულების შემდეგ გაიცემა
სერტიფიკატი.*

ფრჩხილების დაგრძელება

სწავლის
ხანგრძლივობა

3 კვირა

თეორიულ
მეცადინეობას
ეთმობა 2
მეცადინეობა,
ხოლო დანარჩენი
დრო ეთმობა
პრაქტიკას.
პრაქტიკა ტარდება
მოდელეებზე.

CLARISSA NAILS

-ის პროდუქციაზე.
შესაძლებელია
პრაქტიკა
დაიგეგმოს
მსმენელთან
შეთანხმებით,
მისთვის
სასურველი
დღეების მიხედვით
- 10:00 - 19:00

სწავლის
ღირებულება

1700 ლარი

თემატიკა

ფრჩხილების დაგრძელება აკრილის ან გელის მეთოდით

- სტერილიზაცია, დეზინფექცია
- აკრილი, პროცედურისთვის აუცილებელი პროდუქცია
- ფრჩხილის აგებულება
- პრობლემური ფრჩხილები
- ფრჩხილის დამუშავება (ქლიბვა, გაპრიალება)
- ფრჩხილის დაგრძელების ტექნიკა
- ნატურელი, ფრენჩი აკრილზე
- ლაკის დიზაინი
- ტიპსებზე ფრჩხილების დაგრძელების ტექნოლოგია აკრილის მეთოდით



სწავლების ბოლოს ტარდება გამოცდა.

გამოცდის წარმატებისთ დასრულების შემდეგ გაცემს
სერტიფიკატი.

წამწამების დაგრძელება

თემატიკა

სწავლის
ხანგრძლივობა

1 კვირა

სწავლება
შესაძლებელია
დაიგეგმოს
მსმენელთან
შეთანხმებით,
მისთვის სასურველი
დღეების მიხედვით .

სწავლება და
პრაქტიკა ტარდება
მოდელზე.

სწავლის
ღირებულება

950 ლარი

- პროცედურის სან-ჰიგიენური მოთხოვნები, პროდუქცია და ინსტრუმენტები
- წამწამების დაგრძელების მეთოდები და თანამედროვე ტენდენციები
- წამწამების შერჩევა
- დაგრძელებული წამწამების კორექცია და მოხსნა
- წამწამების დაგრძელება (3D ტექნოლოგია)
- დაგრძელებული წამწამების მოვლის წესი



სწავლების ბოლოს გაიცემა სერტიფიკატი.

ბიოეპილაცია

სწავლის
ხანგრძლივობა

1 კვირა

სწავლება
შესაძლებელია
დაიგეგმოს
მსმენელთან
შეთანხმებით,
მისთვის სასურველი
დღეებისა მიხედვით.

სწავლება და
პრაქტიკა ტარდება
მოდელზე.

სწავლის
ღირებულება

500 ლარი

თემატიკა

- პროცედურის სან-ჰიგიენური მოთხოვნები
- პროდუქციისა გაცნობა
- ცვილით და კარტრიჯით დეპილაცია



NATALI ACADEMY

სწავლების ბოლოს გაიცემა სერტიფიკატი.

პერმანენტული მაკიაჟი

სწავლის
ხანგრძლივობა

1 კვირა

სწავლება შესაძლებელია
დაიგეგმოს მსმენელთან
შეთანხმებით, მისთვის
სასურველი დღეების
მიხედვით.

სწავლის ღირებულება

750 ლარი

თემატიკა

- კანის ანატომია და ტიპები
- თვალი
- წარბი
- ტუჩი
- კონტური და დაფერვა
- წარბის 3D პერმანენტული მაკიაჟი
- ქუთუთოს კონტური
- ტუჩის კონტური და დაფერვა



სწავლება ხორციელდება მულაჟზე, სწავლების ბოლოს
პრაქტიკა ხორციელდება მოდელზე პედაგოგის
ზედამხედველობით.

სწავლების ბოლოს გაიცემა სერტიფიკატი.

კოსმეტოლოგია

თემატიკა

სწავლის ხანგრძლივობა

2 თვე

სწავლება მიმდინარეობს
კვირაში 4 დღე.

შაბათი დღე ეთმობა
მთლიანად პრაქტიკულ
მეცადინეობას.

სწავლება და პრაქტიკა
ტარდება მოდელებზე.

სწავლის ღირებულება

1950 ლარი

თეორია:

- კოსმეტოლოგიის საფუძვლები
- გარემო ფაქტორები კანსა და ორგანიზმთან დამოკიდებულებაში
- კანის ტიპები
- კანის ტესტირების მეთოდები
- კანის მოვლა და რეაბილიტაცია
- პრეპარატებთან მუშაობის ძირითადი სქემა
- კოსმეტოლოგიური აპარატები

პრაქტიკა:

- კანის მოვლა ტიპისა და არსებული პრობლემების მიხედვით
- სახის მასაჟი
- ანტიკუპეროზული მოვლა
- კანის მოვლა თვალის გარშემო
- მჟავა პროგრამები (პილინგი)
- დეკოლტესა და ბიუსტის ზონაში კანის მოვლა და მასაჟი
- მიმიკური ნაოჭების მოვლა (ლიფტინი)
- წარბების კორექცია
- ელექტრო ეპილაცია
- ცვილით დეპილაციის ტიპები
- წარბების და წამწამების შეღებვა
- სახის ღრმა გაწმენდა (დეზინკუსტრაცია)
- დარსონვალიზაცია
- პარაფინოთერაპია

სწავლების ბოლოს ტარდება გამოცდა.

**სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ
გაიცემა სერტიფიკატი.**

ვიზაჟისტ – იმიჯ მეიქერი

თემატიკა

სწავლის
ხანგრძლივობა

2 თვე

სწავლება
მიმდინარეობს
კვირაში 3 დღე.

შაბათი დღე ეთმობა
მთლიანად
პრაქტიკულ
მეცადინეობას.

სწავლება და
პრაქტიკა ტარდება
მოდელზე.

სწავლის
დირექტორება

1950 ლარი

- პროფესიის სპეციფიკა და ეთიკა
- სამუშაო ადგილის ორგანიზება და ინსტრუმენტები მაკიაჟისთვის
- უსაფრთხოებისა და სანიტარია-ჰიგიენის მოთხოვნები
- კოსმეტიკური ნაწარმი
- სახის ანატომიური აგებულება
- სახის კანის ტიპები
- სახის კანის მომზადება მაკიაჟისთვის
- ფერთა შეხამება და ტიპები
- ფერების თეორია და ფსიქოლოგია მაკიაჟში
- სახის კორექცია
- ვერტიკალური და ჰორიზონტალური სქემა თვალის მაკიაჟისთვის
- წამწამების დაგრძელება (კონებით)
- ტრიმინგი (წარბების კორექცია)
- მაკიაჟის სახეობები:
 -  კლასიკური მაკიაჟი
 -  ავანგარდული მაკიაჟი
 -  დღის მაკიაჟი
 -  საღამოს მაკიაჟი
 -  საქორწილო მაკიაჟი
 -  ელეგანტური ასაკისთვის
 -  პოდიუმი
 -  ფანტაზია
 -  რეტროსპექტივა
 -  მაკიაჟი ტელეგადაცემებისთვის
 -  მაკიაჟი ფოტოგადაღებებისთვის

სწავლების ბოლოს ტარდება გამოცდა.

გამოცდის წარმატებისთ დასრულების შემდეგ გაიცემა
სერტიფიკატი.

სალონის ვიზაჟი

თემატიკა

სწავლის
ხანგრძლივობა

5 კვირა

სწავლებისას 14
გაკვეთილი (28
საკონტაქტო
საათი) ეთმობა
თეორიას; 24
საათი
დამოუკიდებელ
პრაქტიკას.

სწავლება და
პრაქტიკა ტარდება
მოდელზე.

სწავლის
დირექტორი

990 ლარი

- პროფესიის სპეციფიკა და ეთიკა
- სამუშაო ადგილის ორგანიზება და ინსტრუმენტები მაკიაჟითვის
- უსაფრთხოებისა და სანიტარია-ჰიგიენის მოთხოვნები
- სახის ანატომიური აგებულება
- სახის კანის ტიპები
- სახის კანის მომზადება მაკიაჟისთვის
- ფერის თეორია და ფსიქოლოგია მაკიაჟში
- სახის კორექცია
- ძირითადი წესები მაკიაჟში, შუქრდილები
- სპეციალური მიდგომები თვალის მაკიაჟისთვის
- მაკიაჟის სახეობები:
 - დღის მაკიაჟი
 - საღამოს მაკიაჟი
 - სადღესასწაულო მაკიაჟი
 - საქორწილო მაკიაჟი



სწავლება მიმდინარეობს იტალიური ბრენდის **CINECITTA PHITO MAKE UP** პროდუქციით. სწავლების ბოლოს ტარდება გამოცდა. გამოცდის წარმატებისთ დასრულების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი

ვიზაჟი შენთვის

სწავლის
ხანგრძლივობა

8 გაკვეთილი

სემინარის
ხანგრძლივობა -

1,5 საათი

სწავლის
ღირებულება

450 ლარი

თემატიკა

- ძირითადი წესები მაკიაჟში
- სახის ანატომიური აგებულება
- სახის კორექცია
- სახის კანის მომზადება მაკიაჟისთვის
- ფერთა თეორია და ტიპები
- მაკიაჟის სახეობები:



დღის მაკიაჟი



სადამოს მაკიაჟი



სადსასწაულო მაკიაჟი



სწავლება მიმდინარეობს იტალიური ბრენდის **CINECITTA PHITO MAKE UP** პროდუქციით.

ლაზეროთერაპია

თემატიკა

სწავლის
ხანგრძლივობა

ერთი
მიმართულების
ვის - 1 კვირა

სწავლის
ღირებულება

ერთი
მიმართულების
ის -

750 ლარი

- კანისა და კანის დანამატების ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებები
- ლაზერული სხივები და მათი თვისებურებები:
 - Alexandrite სხივი
 - Nd: YAG სხივი
 - FT Pulsed სხივი
 - Diodi სხივი
- განსხვავებები და გამოყენების დიაპაზონი
- ლაზერული ეპილაციის გართულებები და მოვლის მეთოდები

ლაზეროთერაპიის კურსი მოიცავს მხოლოდ თმის მოცილების პროცედურებს. კურსი არ ითვალისწინებს კაპილარების მოშორების ან სხვა მსგავს ლაზერულ პროცედურებს.

სასწავლო კურსის მხოლოდ ერთი მიმართულებით (**Alexandrite Laser ან Nd: YAG Laser ან FT Pulsed Lamp ან Diodi**) შესწავლის საფასურია 750 ლარი, კურსის ხანგრძლივობა 6 დღე.

სასწავლო კურსი ნებისმიერი 2 მიმართულებით - შესწავლის საფასურია 1000 ლარი, კურსის ხანგრძლივობა 10 დღე,

სასწავლო კურსის ყველა მიმართულებით შესწავლის საფასურია 1500 ლარი, კურსის ხანგრძლივობა 14 დღე.

სწავლება ხორციელდება იტალიური ბრენდის **DEKA**-ს უახლესი თაობის მულტიფუნქციურ ლაზერული აპარატებით

სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი.

სალონის ადმინისტრატორი

სწავლის
ხანგრძლივობა

6 კვირა

სწავლის
ღირებულება

800 ლარი

სასწავლო კურსი განკუთვნილია, ნებისმიერი პირისთვის, ვისაც სურს სალონური მომსახურებისა და მართვის თავისებურებების შესწავლა, ან პოზიციით უკვე დაკავებული პირებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. სასწავლო კურსის მიზანია, დაინტერესებულ პირს შესაწავლოს, სერვისის ეფექტურად შეთავაზებისა და გაყიდვის მეთოდები; პერსონალის სამუშაო დროის ეფექტური დაგეგმვისა და მართვის პრინციპები. ასევე, სალონის ლოგისტიკური საკითხებისა და საქმიანობისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოება. სალონის უსაფრთხოების, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და მაკონტროლებელ ორგანოებთან ანგარიშვალდებულებისა და ურთიერთობის ასპექტები.

თემატიკა

- საპარიკმახერო საქმის ისტორია, განვითარების ეტაპები, თანამედროვე ტენდენციები;
- სალონი. სალონური სერვისების სახეები; თანამედროვე მოწყობილობა და ინვენტარი, უსაფრთხო ექსპლოატაციის წესები;
- მართვის ფუნქციები. ლიდერობა და ხელმძღვანელობის სტილი. ორგანიზაციული კულტურის ფორმირება და განვითარება;
- საქმიანი კომუნიკაცია და სამსახურებრივი ეტიკეტი. სილამაზის სალონის თანამშრომლის ქცევის წესები; კლიენტთან ეფექტური კომუნიკაციის მეთოდები; სატელეფონო საუბრის ეტიკეტი;
- კლიენტის/მომხმარებლის ხარისხიანი მომსახურების მეთოდები;
- საქმიანობის ხარისხის კონტროლი, მნიშვნელობა და მეთოდები;
- კონფლიქტი და მისი სახეები; კონფლიქტური სიტუაციის მართვისა და თავიდან არიდების მეთოდები;
- პერსონალის მართვის ძირითადი ასპექტები;
- შრომის კოდექსის ძირითადი მოთხოვნები და მისი გამოყენება საკადრო დოკუმენტაციაში. შრომითი ხელშეკრულება;
- მარაგების მნიშვნელობა, მართვა და ფორმები;
- გაყიდვების ტექნიკა;
- ფინანსური ანგარიშსწორების ფორმები. საფინანსო დოკუმენტები, სახეები, დანიშნულება, სტრუქტურა და გაფორმების წესები.

სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი.

კვალიფიკაციის ამაღლების კურსები



სწავლის
ხანგრძლივობა

3 დღე

სწავლის
ღირებულება

900 ლარი

სტილისტიკა - კრეატიული ვარცხნილობები

სასწავლო კურსი განკუთვნილია, თმის სტილისტებისთვის და მისი მიზანია სტილისტიკის თანამედროვე ტენდენციების გაცნობა, ასევე, კრეატიული ვარცხნილობის შესრულების ტექნიკის გაზიარება.

მეცადინეობები იგეგმება მსმენელებთან შეთანხმებით. თითოეული სემინარ-მასტერკლასის ხანგრძლივობაა 3 საათი.

თემატიკა

- თმის შეჭრის თანამედროვე ტენდენციები და ტექნიკა
- კრეატიული ვარცხნილობები
- სტაილინგები და თმის მოვლის თანამედროვე საშუალებები

სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი.



ვარცხნილობები

სწავლის
ხანგრძლივობა

3 დღე

კურსი განკუთვნილია ქალის სტილისტის საბაზო კურსდამთავრებულებისა და პრაქტიკოსი სტილისტებისათვის, რომლებსაც სურთ კვალიფიკაციის ამაღლება ვარცხნილობების შესრულებაში.

თემატიკა

- ვარცხნილობა მოკლე თმაზე
- ვარცხნილობა საშუალო თმაზე
- ვარცხნილობა გრძელ თმაზე

სწავლის
დირეზულება

600 ლარი

თითოეული სიგრძის თმისთვის კურსი ითვალისწინებს ორი ვარცხნილობის შესწავლას (სულ 6 ვარცხნილობა). თითოეულ სემინარს ეთმობა 5 საათი.

სასწავლო კურსის
დასრულების შემდეგ
გაიცემა სერტიფიკატი.



სწავლის
ხანგრძლივობა

3 დღე

სწავლის
ღირებულება

600 ლარი

კოლორისტიკა - ექსპრეს კურსი

სასწავლო კურსი განკუთვნილია კოლორისტიკისა და სტილისტიკისთვის. კურსის მიზანია კოლორისტიკის თანამედროვე ტენდეციების გაცნობა. და კრეატილი ვარცხნილობის შესრულების ტექნიკის გაზიარება.

კურსი ითვალისწინებს სამი სახის ტექნოლოგიის შესწავლას კოლორისტიკასა და მელირებაში. ექსპრეს კურსი მოიცავს სამ სრულ დღეს.

მეცადინეობა ტარდება: 10:00 საათიდან –18:00 საათამდე.

თემატიკა

- ფერი, ფერის თეორია
- ფრამესი 2001 – ფერთა გამა
- ბლონდირება
- კრეატიული შეღებვა
- კრეატიული მელირება

სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი.



როგორ ხდება
მიღება?

წარმოადგენი
დოკუმენტები

საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება

მიღება ხორციელდება წლის ნებისმიერ დროს.

სტილისტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მიღება ცხადდება წელიწადში სამჯერ, გაზაფხულზე, შემოდგომაზე და წლის ბოლოს, ხოლო სასერტიფიკატო კურსებზე მიღება წარმოებს წლის ნებისმიერ დროს. მიღებისას აპლიკანტი წარმოსადგენ დოკუმენტებთან ერთად ავსებს სპეციალურ სარეგისტრაციო ფორმას, სადაც მიუთითებს სწავლის დაწყების სასურველ დროს.

მიღებისას აპლიკანტი წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტებს:

- პირადობის მოწმობა და დოკუმენტის ასლი;
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ატესტატი ან ზოგადი განათლების ატესტატი ან დოკუმენტი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ამ დოკუმენტის გარეშე);
- განცხადება (არასრულწლოვანის შემთხვევაში მშობლის ან ოფიციალური წარმომადგენლის განცხადება)

საჭიროების შემთხვევაში, საბუთების სრულყოფის მიზნით, მიმღები კომისია იფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტი.

მიღება არ ხდება მხოლოდ აპლიკანტის განცხადების საფუძველზე, არამედ შერჩევისას **NATALI ACADEMY** მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მათ მტკიცე გადაწყვეტილებას და სურვილს გახდეს ესთეტიური სილამაზის სპეციალისტი.



გსურთ შეიტყოთ მეტი NATALI ACADEMY-ის შესახებ?

ეწვიეთ შემდეგ ვებგვერდებს:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო -
<http://mes.gov.ge/content.php?id=215&lang=geo>
- სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი -
<http://eqe.gov.ge/geo/static/91/register/vet-institutions>
- საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია - <http://ccol.ge/index.php?lang=ka>
- World Skills Georgia - <https://www.facebook.com/Worldskills-Georgia-444621032298771/>
- შპს Natali Group - <http://www.natalibeauty.ge/ge/index>
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy - <http://www.nataliacademy.ge>

დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:

- თბილისი, კოსტავას ქ. 67
- მელიქიშვილის ქ. 6 (სასწავლო სტუდია-სალონი)



Facebook.com/NataliAcademy

ელექტრონული ფოსტა: info@nataliacademy.ge

ვებგვერდი: www.nataliacademy@ge

საკონტაქტო პირები:

მანანა მახარაშვილი, ხარისხის მენეჯერი ტელ.: 599 43 58 81

ნინო საბანაძე, სწავლების მენეჯერი ტელ.: 577 507 023

ინგა წყაროზია, სასწავლო სტუდია-სალონის მენეჯერი ტელ.: 577 507 034

Natali Academy

www.nataliacademy.ge

info@nataliacademy.ge



თქვენი წარმატების რეალური შანსი.

NATALI ACADEMY გისურვებთ
წარმატებულ არჩევანსა და კარიერას.
